თამარ ღვინიანიძე
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ქუთაისი, საქართველო
Tamar.gvinianidze@atsu.edu.ge
https://doi.org/10.52340/lac.2023.08.89

თანამედროვე სკოლის საბაზო და საშუალო საფეხურებზე ლიტერატურის სწავლების საკითხისათვის

სწავლების საბაზო საფეხურზე ჩვეულებრივ უნდა გავითვალისწინოთ მოსწავლეთა ასაკობრივი და ინტელექტუალური შესაძლებლობები, შევარჩიოთ ლიტერატურული კითხვის ეტაპთან შედარებით რთული და მრავალფეროვანი ლიტერატურული მასალა, რომელმაც ხელი უნდა შეუწყოს მოზარდთა შემეცნებითი, შემოქმედებითი, მხატვრულ-ესთეტიკური გემოვნების განვითარებას, დამოუკიდებელ და კრიტიკულ აზროვნებას, წაკითხულის შესახებ მსჯელობისა და კამათში მონაწილეობის სურვილის გაჩენას. მე-8 კლასის მოსწავლემ უნდა გააცნობიეროს ტექსტის აგებულება, ერკვეოდეს მის სტრუქტურაში, შეძლოს ზეპირი და წერილობითი თხრობა.ამიტომ სახელმძღვანელოებში შეტანილ ტექსტებს უნდა ჰქონდეს გამოკვეთილი სტრუქტურა, შესავალი, თხრობითი ნაწილი და დასასრული.

ჟანრობრივი მახასიათებლების მიხედვით მე-7,მე-8 კლასებში რეკომენდირებულია მითების, ზღაპრების, ლეგენდების, მოთხრობების, ნოველების, იგავებისა და ლექსების შესწავლა. პროგრამა ითვალისწინებს კლასიკური და თანამედროვე ლიტერტურული ნიმუშებისა და უცხოური ლიტერატურის თარგმანების გამოყენებას.

ლიტმცოდნეობის ასპექტებიდან უნდა ვაპელირებდეთ შემდეგ სახეებზე:რიტმი, რითმა, ალიტერაცია, გაპიროვნება, შედარება, მეტაფორა; სხვადასხვა ფუნქციურ სტილზე, როგორიცაა სასაუბრო, მხატვრული, პუბლიცისტური და საქმიანი სტილი, თხრობა, აღწერა, მსჯელობა; აფორიზმი, აბზაცის დანიშნულება პროზაულ ტქსტებში; სტილისტური ეფექტების შემქმნელი მხატვრული საშუალებები - განმეორება ,პარალელიზმი და აღნიშნული მითითებები ძირითადად გათვალისწინებულია სახელმძღვანელოებში (ავტორები - ვ. როდონაია, ნ. ნაკუდაშვილი, ა. არაბული, მ. ხუციშვილი),

მოსწავლის წიგნი მე-9 კლასისათვის (ავტორები - მ. მენაბდე, ნ.ფურცელაძე, ნ. სახეჩიძე) და საშუალებას აძლევს მოსწავლეებს დაფიქრდნენ პიროვნების სწორად ჩამოყალიბებისათვის აუცილებელ თემებზე. სახელმძღვანელოს პირველ თავში შემავალი ტექსტებიდან მოზარდები უნდა არკვევდნენ რამდენად მნიშვნელოვანია ოჯახის როლი პიროვნების ფორმირებაში, რა განსაზღვრავს ადმიანის ცხოვრებას - პირადი არჩევანი, თუ სხვა ფაქტორები; როგორ გავუმკლავდეთ განსაცდელს, რატომ არის მნიშვნელოვანი გაუგო სხვა ადამიანს. მოსწავლის წიგნის პირველ თავში შეტანილია გურამ რჩეულიშვილის „მე ახლა ბედნიერი კაცი ვარ“; ანა კორძაიას „გიმნაზისტკა“; ნაირა გელაშვილის „ანაბეჭდები“, ნაწყვეტები დავით გურამიშვილის“ დავითიანიდან“, შოთა იათაშვილის „მეგობრობა“: ასტრიდ ლინდგრენისა და სარა შვარტის“ შენს წერილებს ლეიბის ქვეშ ვინახავ“. თემაში „ადამიანი და ცხოვრება“ წარმოდგენილია გოდერძი ჩოხელის „თევზის წერილები“, ილია ჭავჭავაძის „სარჩობელაზედ“, ჭაბუა ამირეჯიბის „დათა თუთაშხია“, პარპერ ლის „ნუ მოკლავ ჯაფარას“, დავით კლდიაშვილის „ ჩემი ცხოვრების გზაზე“, აკა მორჩილაძის “სიტყვა ფრანკფურტის წიგნის

ფესტივალზე," რატი ამაღლობელის „სეკვენცია", დანიელ პენაკის" რომანივით საკითხავი". ისინი გვასწავლიან სამყაროს შეცნობისა და ახლის ძიების გზებს.

საბაზო საფეხურზე, ანუ მე-7,მე-9 კლასებში ღრმავდება ის საგნობრივი ცოდნა და უნარ-ჩვევები, რომლებიც მოსწავლემ შეიძინა ელემენტარულ სკოლაში. ახლა უკვე აქცენტები კეთდება პრობლემებსა და განსხვავებულ თვალსაზრისებზე, რაც მოითხოვს მათი გადაჭრის ალტერნატიული გზების ძიებას, თვალსაზრისების შეჯერებასა და საკუთარი დამოკიდებულების გამოხატვას. ყველაფერი ეს დამოკიდებულია მასწავლებლის ოსტატობაზე, იმაზე, თუ როგორ შეძლებს ის მიაჩვიოს თავისი აღსაზრდელები დამოუკიდებელ აზროვნებას,ცხოვრებაზე საკუთარი აზრის გამომუშავებას. ამ ეტაპზე იწყება საუბრის (დისკუსია, მოხსენება); სამეცნიერო სტატიებისა და რეფერატების, პუბლიცისტური წერილების მიხედვით აზროვნების სტიმულირება.

საბაზო საფეხურის დასრულების შემდეგ მოსწავლეს უნდა შეეძლოს: ა) ინფორმაციის გაგება, ანალიზი და შეფასება. ბ) კომუნიკაციური ასპექტების გაგება-გამოყენება. გ)მხატვრული ტექსტის გაგება და თვითგამოხატვა.

საშუალო საფეხურის (მე-10, მე-12 კლასები) დასრულების შემდეგ მოსწავლეს თავისუფლად შეუძლია დაეუფლოს ნებისმიერ პროფესიას, აქტიური მონაწილეობა მიიღოს საზოგადოებრივ ცხოვრებაში. გაიგოს, გააანალოზოს, შეაფასოს, გამოიყენოს კომუნიკაციური ასპექტები, აღიქვას მხატვრული ტექსტი.

ქართული ლიტერატურის სასკოლო კურსის საშუალო საფეხურის ძირითადი ეტაპებია:

1. ძველი ქართული სასულიერო და საერო მწერლობა.

აღორძინების პერიოდის მწერლობა. რეალიზმი,მოდერნიზმი.

2. ახალი ქართული მწერლობა. მე-19 საუკუნის მწერლობა და ამ პერიოდის ლიტერატურული მიმდინარეობანი: რომანტიზმი, რეალიზმი, კრიტიკული რეალიზმი.

3. უახლესი ქართული მწერლობა. მე-20 საუკუნისა და 21-ე საუკუნის დასაწყისის მწერლობა.

ძირითადი ლიტერატურული მიმდინარეობები: სიმბოლიზმი, იმპრესიონიზმი, ექსპრესიონიზმი, ფუტურიზმი, პოსტმოდერნიზმი, რეალიზმი.

რეკომენდირებულია ქართველ მწერალთა შემდეგი ჩამონათვალი: იაკობ ხუცესი, იოანე საბანისძე, გიორგი მერჩულე, დავით აღმაშენებელი, შოთა რუსთაველი, სულხან-საბა ორბელიანი, ვახტანგ მე-6, დავით გურამიშვილი, ბესიკ გაბაშვილი, ალექსანდრე ჭავჭავაძე, გრიგოლ ორბელიანი, ნიკოლოზ ბარათაშვილი, გიორგი ერისთავი, ილია, აკაკი, ალექსანდრე ყაზბეგი, ვაჟა, დავით კლდიაშვილი, ნიკო ლომოური, ვასილ ბარნოვი, ეგნატე ნინოშვილი, ნიკო ლორთქიფანიძე, ლეო ქიაჩელი, კონსტანტინე გამსახურდია, მიხეილ ჯავახიშვილი, გრიგოლ რობაქიძე, ვალერიან გაფრინდაშვილი, პაოლო იაშვილი, კოლაუ ნადირაძე, ტერენტი გრანელი, დემნა შენგელაია, გალაკტიონი, ტიციანი, პოლიკარპე კაკაბაძე, გიორგი ლეონიძე, იოსებ გრიშაშვილი, შოთა ნიშნიანიძე, სიმონ ჩიქოვანი, ნიკო სამადაშვილი, ლადო ასათიანი, ლევან გოთუა, მირზა გელოვანი, გიორგი შატბერაშვილი, ოთარ ჩხეიძე, გურამ რჩეულიშვილი, ჭაბუა ამირეჯიბი, არჩილ სულაკაური, ანა კალანდაძე, გივი გეგეჭკორი, რეზო ინანიშვილი, რეზო ჭეიშვილი, ნაირა გელაშვილი, მურმან ლებანიძე,

ნოდარ წულეისკირი, მუხრან მაჭავარიანი, ნოდარ დუმბაძე, მერაბ ელიოზიშვილი, ოთარ ჭილაძე, ჯემალ ქარჩხაძე, გურამ გეგეშიძე, ბესიკ ხარანაული, ლია სტურუა, გურამ ასათიანი, აკაკი ბაქრაძე, თამაზ ბიბილური, ვლადიმერ სიხარულიძე, გურამ დოჩანაშვილი, ოტია

იოსელიანი, გოდერძი ჩოხელი, შოთა ჩანტლაძე, ჯემალ თოფურიძე, ნუგზარ შატაიძე, აკა მორჩილაძე და სხვ.

მე-11 კლასის მოსწავლეს შესაძლებლობა აქვს ლიტერატურული კითხვისა და საბაზო საფეხურების პროგრამული მასალის გაანალიზების საფუძველზე შეადაროს სხვადასხვა პერიოდის მრავალფეროვანი ლიტერატურული მასალა მათში ასახული ინფორმაციის, თემების, იდეებისა და პრობლემატიკის გათვალისწინებით. მე-12 კლასში იმავე საქმიანობას იგი ახორციელებს სხვადასხვა პერიოდისა და სირთულის ტექსტების საფუძველზე. დამამთავრებელ კლასში იზრდება ნათარგმნი ლიტერატურის ხვედრითი წილი. სწავლების ამ ეტაპზე სასურველია ლიტერატურული კრიტიკის, სამეცნიერო და კვლევითი მასალების გაცნობა, პროექტების დაგეგმვისა და კვლევების სასწავლო რეფერატების შედგენის ჩვევების გამყარება, შედეგების წერილობითი გაფორმება და პრეზენტაცია, სასწავლო რეფერატების შედგენის ჩვევების გამყარება.

ლიტერატურის სწავლების მიზნების განხორციელებას ხელს უწყობს თანამედროვე მეთოდებისა და სტრატეგიების ეფექტური გამოყენება. მნიშვნელოვანია კოგნიტური სტრატეგიები, რომელთა საშუალებითაც მოსწავლე ცოდნას მოიპოვებს, გადაამუშავებს, გააანალიზებს, კრიტიკულად შეაფასებს, დაიმახსოვრებს და სხვადასხვა სიტუაციაში გამოიყენებს. არანაკლებ მნიშვნელოვანია მეტაკოგნიტური სტრატეგიები. მეტაკოგნაცია გულისხმობს მოსწავლის ჩართვას საკუთარი სწავლის პროცესის დაგეგმვაში, მართვაში, მონიტორინგსა და შეფასებაში. საშუალო საფეხურზე მნიშვნელოვანია თანამშრომლობითი სწავლება - ჯგუფური მუშაობა, დისკუსია, ურთიერთსწავლება. მოსწავლის მხრიდან მიზნის დასახვა და მისი მიღწევის გზები.

ამრიგად, საბაზო და საშუალო საფეხურები ქართული ლიტერატურის სწავლების მნიშვნელოვანი ეტაპებია, რომლებიც დაოსტატებული და მოაზროვნე მასწავლებლების ხელში თანამედროვე ახალგაზრდების,აღზრდის,სწავლებისა და პიროვნებად ფორმირების წყაროდ იქცევა. უნდა ვიცოდეთ, რას ვასწავლით, როგორ ვასწავლით და რატომ ვასწავლით. ე.ი., საჭიროა მყარი მეცნიერული ცოდნა და თანამედროვე მეთოდების გამოყენების უნარი, ანუ პედაგოგიური დაოსტატება.

ლიტერატურა:

1. ეროვნული სასწავლო გეგმა.თბილისი,2022 .
2. იმედაძე ი., იტელექტი და შემოქმედებითობა.თბილისი.2005.
3. სწავლებისა და სწავლის ახალი მიდგომები.თბილისი,2005.
4, საბაზო და საშუალო სკოლის მოქმედი სახელმძღვანელოები.
5. ფიფია რ., ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლების თანამედროვე პარადიგმები.თბილისი. 2019.
6. ღვინიანიძე თ., ქართული ლიტერატურის სწავლების მეთოდიკა მე-5, მე-12 კლასებში. ქუთაისი.2022.
7. ჯანაშვილინ., იმედაძე ნ.,გორგოძე ს., განვითარებისა და სწავლების თეორიები. თბილისი. 2010.
8. ჯიჯიხაძე ჯ., თანამედროვე პედაგოგიური ტექნოლოგიები.თბილისი.2012.

Tamar Gvinianidze
Akaki Tsereteli State University

For the issue of teaching literature at the basic ans secondary levels of the modern school

Abstract

Tha basic and secondary levels of the school are the most important in terms of teaching literature. The basic level deepens the knowledge-habits acquired in elementary school. At these stahes, emphasis is placed on problems and different points of view, which requires the search for alternative ways to solve them, reconciliation and expression of one's attitude. All this depends on the professionalism of the teacher, on how he will be able to accustom his pupils to independent thinking, to develop tjeir own opinion on life, to stimulate thinking accordng to articles and abstracts, journalistic letters.

After completing the basic level, the pupils should be able to undersdtand, analyze and evaluate information; understand and use communicative aspects, get to know the artistic text and express himself.

After completing the secondary level, the pupils can master variouis proffessions, avtively participate in public life, analyze and evaluate information, understand and use the communicative aspects of the language.